ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7873110

ნომერი: AR11134321

თარიღი : 18.03.2026

გაცემის თარიღი : 07.04.2026

გაცნობის თარიღი : 07.04.2026

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, N 46;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ლოლაშვილი პ/ნ 01008008282
- თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 18 მარტის №AR11134321 განცხადებით მომართა ზურაბ ლოლაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 8 იანვრის №6831741 ბრძანებაში ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 8 იანვრის №6831741 ბრძანებით, №01.10.06.001.205 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 8 იანვრიდან 2026 წლის 8 იანვრის ჩათვლით.
სამსახურის 2024 წლის 22 თებერვლის №6900983 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 8 იანვრის №6831741 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირდა 4218.1 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 1066.9 კვ.მ., საერთო ფართობად - 30674.7 კვ.მ. აგრეთვე, სამსახურის 2024 წლის 8 იანვრის №6831741 ბრძანებით შეთანხმებული -5.080 და „-4.000 და - 2.200“ ნიშნულების არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდა 2024 წლის 07 თებერვლის №AR11014607 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული არქიტექტურული გეგმებით (მე-2 და მე-4 გვერდები).
სამსახურის 2024 წლის 5 ივლისის № 7117385 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 8 იანვრის №6831741 ბრძანებაში და ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 20681.3 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 2672.7 კვ.მ., საერთო ფართობად - 30653.9 კვ.მ. ამასთან, სამსახურის 2024 წლის 08 იანვრის №6831741 ბრძანებით შეთანხმებული 0.000, -1.500 და +1.000 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდა 2024 წლის 25 ივნისის №AR11044075 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული ამავე ნიშნულების (გვერდი მე-2) გეგმით.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2024 წლის 8 იანვრის №6831741 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა და საზაფხულო ფართობად 2672.7 კვ.მ-ის ნაცვლად 2932.6 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 30653.9 კვ.მ-ის ნაცვლად 30883.7 კვ.მ-ის დაფიქსირება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურმა დაადგინა, რომ წინამდებარე განცხადებაში აღნიშნული საკითხი არ წარმოადგენს ცვლილების საფუძველს „სამართლებრივი საკითხები“-ის ნომენკლატურის საშუალებით. აღნიშნულისთვის საჭიროა შეთანხმებული პროექტის ცვლილება (კორექტირება).
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას შეიტანოს ცვლილება სამსახურის 2024 წლის 8 იანვრის №6831741 ბრძანებაში.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.